№ 272. შაბათი, 2 აგვისტო. 1896—1897 შაბათი, 2 აგვისტო, № 272.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ ედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და ალამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. ელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ებეჭდავს.
ირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა
საყურადღებოდ

ვისაც ხვედრი ფული (შედავათიანი) არ შემოუტანია,

გაზეთის გზავნა
მოესპობა

პირველ აგვისტოდან
გაზეთი
«ცნობის ფურცელი»
საქართველოს კალენდრით
ღირს სამიმან.

ილია დემეტრაშვილის
საპარიკმახერო

სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა

გავმართე ახალი საპარიკმახერო, სადაც ყოველ დღე მსურველთ შეუძლიანთ გაიკრიჭონ და გაიპარსონ.
სისუფთავე და სიწმინდე საგანგებოა
ხელოსნები დახელოვნებულნი არიან პარსვა-კრეჭაში
თავის დაბანვა სუნნელოვანის წყლით
იქვე რეცხენ ხელთათმანებს
!!ფასი უველაფერზე იაფია!!
НОВАЯ ПАРИКМАХЕРСКАЯ
И. Деметрашвили
Дворцовая, д. Грузинск. Дворянства.
(15—2) საზოგადოების პატივისმცემელი ი. დემეტრაშვილი.

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი (სოხუმის ოლქში)

არხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе,* ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. 300—153)



ქართული რომანსები
„მშვენიერთა ხელმწიფავ“
„შევიშრობ ცრემლსა“
„შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“, „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“
მუსიკა კარგარეთელისა

დაიბეჭდა და იყიდება
ოთხი ქართული რომანსები
მუსიკა ი. კარგარეთელისა
კოტე მესხის გამოცემა

1) „მშვენიერთა ხელმწიფავ“—25 კ.
2) „შევიშრობ ცრემლსა“—25 კ.
3) „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“ 25 კ.
4) „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“ 25 კ.

იყიდება ტფილისში ყველა მუსიკალურ მაღაზიებში და წ.-კ. საზ. წ. მაღაზიაში ქუთაისში ჭილაძეთა და ბეჟანიშვილის მაღაზიებში

ცნობის ფურცლის ხელის-მომწერთა
საყურადღებოდ
„ცნობის ფურცლის“ ხელის მომწერთ ოთხივე რომანსი, ერთი მანათის მაგიერ დაეთმობათ **სამ აბაზად.**

რომანსები დაბეჭდილია მშვენიერად და შესაფერის სურათებით სქელ ქაღალდზედ. ფასი შეიძლება გამოიგზავნოს რედაქციაში ფოსტის მარკებითაც. (30—1)

კერძო საპროფესიონალო სახელოსნო

ალექსანდრა არკადის ასულის მირზოევისა
(ტფილისი, პუშკინის ქუჩა, თავ. არღუთინსკის სახლებში).

სახელოსნოში ზედ-მიწევნით ასწავლიან ჭრას, კერვას, ხელ-საქმობას, ქსოვას, ქარგვას და ცეკვასაც.
სახელოსნო ღებულობს როგორც ტფილისელ, აგრეთვე ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ბავშვებს.
სახელოსნოში მიიღებიან ბავშვები პანსიონერებადაც. მსურველთ ბავშვების შესაყვანად უნდა მიჰმართონ სახელოსნოს 1 აგვისტოდან თვის დამლევამდე. (5—1)

გამოვიდა და იყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში

გლეხი-კაცის ისტორია

ერკმან შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით **ივ. მაჭავარიანისა**
ფასი სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური
წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივად დაეთმობათ. (20—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათმდე, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით

ა. მ. პუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Ворнцову.

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავად მყოფობისანი.** გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.
შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**
დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ თოფურია**
Лѣчебница *С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

კანონი და მთავრობის განკარგულება.

სასულიერო უწყება. უმაღლესად ებოძა სამსახურის წელთა შესრულების გამო: კავკასიის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს კოლლეჟსკი სოვეტნიკს ფხაკაძეს სტატსკი სოვეტნიკობა.

უწმიდესის სინოდის დადგენილება: უწმიდესს სინოდს $^9/_{16}$ ივლისს შემდეგი დაუდგენია: თეკლათის დედათა მონასტერი, სენაკის მაზრაში, გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, ოფიციალურად დამტკიცებულ იქმნას, ხოლო შიგ იმდენი იყოლიონ მონაზვნები, რამდენის მოთავსება და შენახვაც შეეძლება მონასტერს საკუთარის ხარჯით.

ადმინისტრაცია. უმაღლესად ებოძა სამსახურის წელთა შესრულების გამო: გორის მაზრის სამმართველოს საქმეთა მწარმოებელს ინაშვილს—კოლლეჟსკი რეგისტრატორობა.

ახალი ამბავი

⁂ **ალექსანდრე ყაზბეგის წერილის გამო.** ჩვენ მივიღეთ პატივცემულ ანტონ ფურცელაძისაგან შემდეგი წერილი: ვგზავნი საცოდავ უდროვოდ დაკარგულ ალექსანდრე ყაზბეგის წერილს ჩემთან მოწერილს საგიჟეთიდამ. ჟამთა ვითარება მიდის და რაც-კი მოგვაგონებს ამ ჩვენის პირველის და ნამდვილის ნიჭიერის ბელლეტრისტის ცხოვრებას და საქმეებს, უნდა დავიცვათ. შეიძლება კიდევაც შემენახა ეს წიგნი და არ დამებეჭდა, მაგრამ მელანი ხუნდება და გადადის, შეიძლება თვით წერილი სულაც დაიკარგოს; ამიტომ ურიგო არ იქნება, რომ ეხლავე დაიბეჭდოს. იქნება თქვენ კარგად ვერ გაარჩიოთ ხელი და ამიტომ აქ კოპიოსაც მოვიყვან.

„ძმაო ანტონ! ბოლნი (ბოლნიცაში) ჩავარდი, კარგათმყოფი და მარწ-

ჩუნებენ გიჟი ხარო! ვეფიცები თქვენზედ ჰგვანი გარ მეთქი და და არ მიჯერეენ. ერ (ერთი) ჩემო (შემო) ათხარ (უთხარ) და დაარწმუნ არა თუ გარ, გაგიჟებული არამედ ისინი გაგიჟებულან ინც მე მხედავთ (მხედავენ გიჟათ). ურობა გაშვებით შენი ნახვა ჩემთის ძალიან საჭიროა და და მაგა სთანავე (მაგასთანავე) ფულსაც გარებული (გაქირებული) გარ და გაქვს რამ გაქვს (და თუ რამა გაქვს). შენ მოსულიყავ (შენ რომ მოსულიყავ) ჯოხითგან (ჯოჯოხეთიდგან) დაგიხსნებოდი
შენი მოხე (მოხევე)
მოჩხუბარიძ (მოჩხუბარიძე).
ჩემს მეგობარს ბ. ანტონ ფურცელაძეს.“

ნამდვილი წერილიც შეინახეთ, ნუ დაჰკარგავთ. გარწმუნებთ, ამ კაცის ცხოვრება, ვითარება და ნიჭი ბევრს რასმე საგულისხმიეროს ეუბნება და ეტყვის ჩვენს საზოგადოებას. ამიტომ ყველა დოკუმენტი მის შესახებ უნდა დაიცვას.

⁂ **ახალი ექიმი.** ჩვენს საზოგადოებას და ექიმთა წრეს კიდევ მოემატა ერთი ახალგაზდა ჩვენებური ექიმი კლიმენტი თოფურიძე, რომელმაც შარშან დაამთავრა სწავლა ხარკოვის უნივერსიტეტში და ერთს წლამდე დაჰყო კიდევ კლინიკაში განთქმულ თვალის ექიმ პროფესორ გირშმანთან. ამ ჟამად ბ-ნი თოფურიძე ტფილისში მოუწვევიათ თვალთა საავადმყოფოში ექიმად.

⁂ **ბუხრის ემირის დაბრუნება თავის საბრძანებელში.** გუშინ, დილის 8 საათზე მისი უმაღლესობა ემირი ბუხარისა საგანგებო მატარებლით წაბრძანდა ტფილისიდამ ქ. ბაქოს და იქიდამ ბუხარისაკენ გაემგზავრება.

⁂ **ბუხრის ემირისაგან დაჯილდოება.** ბუხრის ემირს უბოძებია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილის მ. პ. ისარლიშვილისათვის ოქროს ვარსკვლავი მეორე ხარისხისა.

⁂ **ბ. კავკასიის მთავარ-მართებლის დაბრუნება ტფილისში.** კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი ჩამობრძანდება ტფილისში საქართველოს სამხედრო გზით ხვალ, 3 აგვისტოს.

გუშინ, ბ. ტფილისის გუბერნატორი ფ. ა. ბიკოვი წავიდა სად. ყაზბეგზე ბ. მთავარ-მართებლის შესახვედრად.

⁂ **ბუხრის ემირის გამასპინძლება.** გუშინ-წინ, 31 ივლისს ბ. ტფილისის კამენდანტმა ღენერალ-მაიორმა რეიტერმა, შუადღეზე, საუზმედ მიიწვია ბუხრის ემირი და მიართვა „დასტარხანი“ თავის საკუთარს ბიღში, ნავთლუღში. საუზმის დროს მცირე წლოვანთა ორკესტრი და ზურნა საზანდარი უკრავდა და ლეკური ითამაშეს. ემირი ძრიელ ნასიამოვნები დარჩა და მხიარულიც იყო.

⁂ **ყარსის რკინის გზის დათვალიერება.** პეტერბუგიდან ატყობინებენ გაზ. „კავკაზ“-ს, რომ ამ მოკლე ხანში ტფილისში ჩამოვა სახაზინო გზათა მმართველობის წევრი დეისტ. სტ. სოვ. დობროვსკი, რომელსაც სამინისტროსაგან აქვს მინდობილი ბეჯითად დათვალიეროს მუშაობა ყირსის რკინის გზაზე და აგრეთვე ადგილობრივ გამოიკვლიოს ზოგიერთი საკითხი, რომელნიც აღიძრა ამ გზაზე ბ. გზათა მინისტრის გავლის დროს.

⁂ **დედათა სამედიცინო ინსტიტუტი.** დედათა სამედიცინო ინსტიტუტის პირველს კურსზე მიღებულ იქმნებიან მხოლოდ 160 მსმენელნი. ლექციებს წაიკითხვენ ხოლმე საუკეთესო დოცენტები და პროფესორები.

⁂ **საპარიკმახეროების შესახებ.** მთავრობას განზრახვა აქვს ბეჯითის თვალყურის დევნება დააარსონ საპარიკმახეროებზე, რომლებსაც კვირაში ერთხელ დაივლის ხოლმე ექიმი და შეამოწმებს თვით პარიკმახერის ჯან-საღობას, სახმარებელს იარაღს და თეთრეულს.

⁂ **ულმობელი ექიმი.** ქუთაისიდამ სწერენ გაზ. ,,ნოვ. ობოზ.''-ს შემდეგს ამბავს: ერთს ოჯახში, რკინის გზის სადგურთან, ერთბაშად ავად გამხდარა სამი ბავშვი. სიცხეს მოუმატნია, ხელია და პირის ღებინება დააწყებინა და ძლიერ შეაწუხა საცოდავები. შეშინებულმა მშობლებმა საჩქაროდ კაცი აფრინეს იქვე ახლოს მცხოვრების რკინის გზის ექიმის ო—ს მოსაწვევად. კაცი უკან დაბრუნდა, ექიმი არ წამომყვა, ასე სთქვა: ,,ავადმყოფების პატრონი ჩემს ნაწილში არა სცხოვრობსო''.

ყველაზე უფრო გასაკვირველი ის არის ამ შემთხვევაში, რომ ის ექიმი სულ ახალგაზდა კაცია, ახლად კურს დამთავრებული და ეხლავე ასე იქცევა.

ამ ულმობელის ექიმის საქციელზე შესაფერი ოქმი შეუდგენია რკინის გზის პოლიციას.

ღმერთმა კეთილი ჰქნას, მაგრამ საეჭვო კია, ასეთის ახალგაზდასაგან მომავალში რამ სასიკეთო გამოდნეს.

⁂ **ახალი საზოგადოება სახალხო მასწავლებლების დასახმარებისა.** სახალხო განათლების მინისტრმა დაამტკიცა წესდება მასწავლებლების დამხმარებელი საზოგადოებისა ყირიმის გუბერნიისა. ხსენებულ საზოგადოებაში წევრებად მიიღებიან ყველა მასწავლებლები, სქესისა და სარწმუნოების განურჩევლად.

⁂ **ახალი მკითხველის“ გამოცემა.** ჩვენ მივიღეთ ,,ახალი მკითხველის'' შემდეგი რიცხვით მესამე გამოცემა სათაურით ,,ორი ეტიუდი'' თარგმანი ნ. რუბაკინიდამ. წიგნი შეეხება რუსეთის მუშების ცხოვრებას. შეიცავს 96 გვერდს, სუფთად არის დაბეჭდილი და ღირს 20 კაპ. უფრო დაწვრილებით ამ წიგნზე შემდეგში მოვილაპარაკებთ.

⁂ **სახელოსნო გამგეობის** შესახებ ბევრი სამდურავი ისმოდა აქამდის, და ახლა უფრო ბევრი ისმის, რადგანაც ამ სამმართველოში ყოფილან, თურმე, ისეთი ვაჟბატონებიც, რომელთაც ტყუილის ხელისმოწერით სხვა-და-სხვა მოწმობებიც შეუდგენიათ ხოლმე და ისეთის საპატიო ხელოსანის პირის სახელით უძლევიათ აქა-იქ, როგორიც არის ხელოსანთა შორის პატიოსნებით ცნობილი ხელოსანი დავით გიგაური, რომელიც რამდენჯერმე დურგლების უსტაბაშის თანამდებობასაც ასრულებდა.

⁂ **მველებური სახლი.** რუსეთთან შეერთების შემდეგ ტფილისში ბევრი არაფერი დიდრონი სახლები აგებულა. 1840 წლებამდის სულ რამდენიმე სახლი აშენდა და ერთი ამ ძველ იშვიათ სახლთაგანი იყო ცნობილის ქართველ პოეტის ალექსანდრე გარსევანის ძის ჭავჭავაძის სახლი, რომელიც აშენებული იყო ჭავჭავაძის ქუჩაზე, ახალ თეატრის მახლობლად, სადაც აქამდის „პარიზის“ სასტუმროც იყო. საქართველოში რუსების შემოსვლის შემდეგ პირველად ამ სახლში გაიხსნა სასტუმრო მორთულის სადგომ ოთახებით.

ამ სასტუმროს ადრე ერთობ დიდი სახელი ჰქონდა მთელს ტფილისში. 1850 წლებში აქ ამაზე უკეთესს სასტუმროს ვერსად იპოვიდა კაცი. იმ დროს ყველა ევროპის მოგზაურნი, რომელნიც-კი საქართველოში მოვიდოდნენ და ტფილისში დაურჩებოდათ ყოფნა, ყველანი ამ სასტუმროში დგებოდნენ; აქვე იდგა ლერმონტოვი სამს დღეს, როცა იგი ტფილისში ჩამოვიდა. თვით ჩვენი პოეტი ალ. ჭავჭავაძეც დიდხანს მდგარა ამ სახლში. დღეს ეს ძველი და დიდი სასახლე ერთს სომეხს ეკუთვნის, რომელმაც ძველი შენობა მთლად დააქცია და ახლად აკეთებს.

ამბობენ, რომ „მუნთუაანთ დარბაზიც“ დაუქცევიათ — გადუკეთებიათო.

⁂ **კუკიის სამკითხველოს შესახებ.** ამას წინად „ივერიაში“ ცნობა იყო დაბეჭდილი შესახებ მეორე თუმანოვის ქუჩაზე ქართველ მკითხველთა სიმრავლეზე; ახლა ჩვენ გვატყობინებენ ხსენებულ ქუჩის მცხოვრებნი, რომ „წერა-კითხვის ვამავრ. საზოგ.“ გამგეობის წიგნთ-საცავი, რომელიც მალაკნებში აქვსთ გახსნილი, ამ ქუჩაზე უნდა გადმოიტანონო. ამით დიდს შეღავათს მისცემენ აქაურ მცხოვრებთ, რადგანაც მკითხველთა რიცხვი დღითი-დღე ერთობ მრავლდება ურთიერთის მიბაძვით. იმედი აქვსთ, რომ ესეთი თხოვნა „წერა-კითხვის გამ. საზ.“ გამგეობისაგან უყურადღებოდ არ დაშთებაო.

⁂ **საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ტფილისში.** (გაგრძელება). მორიგ ლექციაზედ სასულიერო სემენარიაში სამოსწავლო ნაწილიდგან საეპარქიო სამრევლო სკოლათა ზედამხედველ ბ-ნ ნ. გ. ტატაშვილის მიერ განხილულ იქმნა, თუ რანაირად უნდა მიმდინარეობდეს საღმთო სჯულის გაკვეთილი და რაზედ უნდა იყოს განსაკუთრებითი ყურადღება მიპყრობილიო.

ლექტორთა უმთავრესი ნაკლულევანება იმაშია, რომ ტეორიულად გაკვეთილს ჩინებულად აძლევენ და საქმით კი არ უჩვენებენ მასწავლებელთ. ლექციასა და სამაგალითო თვალ-საჩინო გაკვეთილის შორის კარგი მანძილია და ერთი უმეოროდ იშვიათაც თუ იქონიებს შესაფერ ზედ გავლენას და შთაბეჭდილებას მასწავლებლებზედ. თვალ-საჩინო კავეთილი უფრო ადრე მოქმედობს ადამიანზედ, ვიდრე განყენებითი სჯა. თუ სწავლის ნიადაგი სკოლებში გასწორებულ იქმნება, გასწორებულ იქმნება სწორედ სამაგალითო თვალ-საჩინო გაკვეთილების წყალობით და არა ლექციითა. მაშასადამე, ლექციები იმ სახით, როგორნიც იყვნენ დღემდისინ, საგანს ვერ აღწევენ...

შემდეგი ლექცია რუსულ ენიდგან ბ-ნ ა. პ. ალბოვისაგან იქმნა წაკითხული. ლექციაში ბ-მა ლექტორმა დაწვრილებით განიხილა გრამატიკის და წერილობითის გაკვეთილები. გრამმატიკიდგან უჩვენა ახლად შედგენილი სასურველო სახელ-მძღვანელო და განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია წერილობით გაკვეთილს. „ბ-ნ ლექტორის სიტყვით, წერილობით გაკვეთილს უმთავრესი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული. თუ ბავშვი კარგათ არ არის დახელოვნებული წერვაში, მალე ივიწყებს, მით უმეტეს, რომ გლეხი კაცი გათახსირებულ ცხოვრების ძებნას უნდება და სკოლაში შეძენილ სწავლის განახლებისთვის აღარა სცალიან. წერილობით გაკვეთილს მით უფრო დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული, რომ დღევანდელ ცხოვრებაში გლეხ-კაცნი იძულებულნი არიან „ჩინოვნიკები“ მწერლად დაიჭირონ და ესენი კი სარგებლობის მაგიერ ჭირსა და ბოროტს შეჰყრიან ხოლმე (ამის ნიმუში მოსე მწერალია). წერილობით გაკვეთილის ხასიათს შეადგენს ბავშვის დახელოვნება თვისი აზრისგამოხატვაში და საჭირო წერილების შეთხუზვაში. ასეთს წერილებს შეადგენენ: თამასუქის დაწერვა, მიღების ანგარიშის ბარათები, განაჩენი სასამართლოსი და კერძო წერილები.“ სამართლიანი და დიდ-მნიშვნელოვანი არის ასეთი ყურადება წერილობით გაკვეთილებზედ. ყველა ამის ასრულება დედა-ენაზედ სამართლიანია და მოთხოვნილებაც დიდი აქვს, მაგრამ რუსულ ენაზედ, რომელიც ჩვენ ცხოვრებაში უპირველეს საჭიროებად ითვლება, ორი წლის განმავლობაში (საპედაგოგიო მეცნიერება მოითხოვს და დღეს ბევრგანაც ასე არის, რუსულის სწავლა პირველ წელიწადს არ უნდა იყოს შემოღებული, ჯერ დედა-ენაში უნდა დახელოვნდნენ) განა შესაძლებელია ყველა ამის განხორციელება? დიდადამიანსაც არ ძალ-უძთ ახალი ენა შეითვისონ ისე, რომ საჭირო ცნობანი ამოიკითხონ და ნუ თუ ბავშვთ შეუძლიანთ საჭირო ქაღალდების წერვაც? აი სწორედ აქ არის საჭირო ბ-ნმა ლექტორმა სამაგალითო თვალ-საჩინო გაკვეთილზედ უჩვენოს, თუ რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება. კარგი იქნება დღევანდელ სამ-წლიან სამრევლო სკოლათა ერთი წელიწადიც მიემატოს, მით უმეტეს, რომ დღესაც ოთხი წელიწადი უნდება ბავშვი სამრევლო სკოლის გათავებას, რადგანაც პროგრამმა დიდი აქვს და საქმით კი ვერ გადიან. სამაგალითო თვალ-საჩინო გაკვეთილი მრიცხვაობისა მისცა ბ-ნმა ლ. გ. ბოცვაძემ. ბ-ნი ბოცვაძე დღეს უკეთეს სახალხო სკოლების მასწავლებლად ითვლება. იგი მასწავლებლად არის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისადმი კუთვნილ ოთხს წლიან კავკავის ერთ კლასიანს სასწავლებელში. სწავლა დაუმთავრებია ხონის სამასწავლებლო სემინარიაში. ათი წელიწადია უკვე მასწავლებლად არის და კარგადაც აქვს შესწავლული საპედაგოგიო მეცნიერება. მისივე სიტყვით, ყველა საპედაგოგიო ლიტერატურული ნაწარმოები გადათვალიერებული ჰქონია, დღესაც გამუდმებით თვალ-ყურს ადევნებს პედაგოგიურ მეცნიერების მიმდინარეობას. გაკვეთილი გაგრძელდა 40 წუთი. გაკვეთილის გეგმა ადრევე იყო აღნიშნული და შედარებით რთულიც იყო, მაგრამ ბ-ნ ბოცვაძემ გეგმაზედ მიწევნით აღასრულა და სამაგალითო თვალ-საჩინო გაკვეთილმ ჩინებულად ჩაიარა.

მ—შვილი.

⁂ **სამი ფურგუნის გაძარცვა აზამბურზედ.** წარსულს ორშაბათს, 21 ივლისს, თბილისიდან სამი ფურგუნი გასულა ქ. სიღნაღში წასასვლელად. იქაურნივე მცხოვრებნი ყოფილან: მალხაზ არისაშვილი, დათიკო გოგინაშვილი და სოსიკო ვერგიაშვილი, მათთანაც ერთი მგზავრი ყოფილა. აზამბურზე რომ მოსულან დაჰღამებიათ და იმ ღამეს იქ დარჩომილან. შუა ღამე რომ გამხდარა, შაუბამთ ფურგუნები და წასულან აზამბურსა და მდ. ივრის შუა რომ მისულან, ოცი ცხენოსანი ს. დამპალიდამ თათრები დასცემიან გასაძარცვათ. იქ იმნაირი ადგილია, რაც უნდა ბევრი იყვიროს, ვერავის ვერ გააგონებს და ვერავინ მიეშველება ტრიალი მინდორია, სოფლები ძალიან შორს აქვს. ის თათრები როდესაც დასცემიან და გაუძარცვამთ სამივე მეფურგუნე და ერთი მგზავრი, რაც-კი რამა ჰბადებიათ, სულ ერთიან წაურთმევიათ, ახლა ფულიც მოუთხოვნიათ, მაგრამ ფულისა უარი განუცხადებიათ მეფურგუნეებს. ეს ცხადია, ისინი იმათ უარს არ დასჯერებიან და ძალა-უნებლივ თავიანთი ნებით გამოურთმევიათ თითო მეფურგუნესთვინ ოც-ოც თუმნამდე. ძალა-მოხმარების დროს მალხაზ არისაშვილიც მძიმედ დაუჰკრიათ მკლავში, მეორეებისთვინ უცემნიათ და თავიანთი წადილი-კი სრულიად აუსრულებიათ. ყოველი, რაც-კი ფურგუნიდან აღებული ნივთი ყოფილა, თავიანთ ცხენებისთვინ გადაუკიდნიათ და რაც რომ თავიანთ ცხენებზედ ვეღარა დატეულა, ფურგუნის ცხენი გამოუშვიათ და იმისთვინ გადუკიდნიათ. თავიანთ სოფელში რომ მისულან და დაბარგებულან, მეფურგუნეს ცხენი დაუჰკრიათ და ისე გამოუგდიათ პატრონისკენ. ამ გვარი უბედურება იმ საათშივე იმავ მაზრის ბოქაულისთვის უცნობებია, ბოქაულიც გამოჰკიდებია ჩაფრებით და მთელს დამპალს დასცემია, მაგრამ ჯერ არაფერი სჩანს: ვინ იყო და ვინ არა, გამოძიება სასტიკათ სწარმოებს.

ივანე მჭედლიძე.

⁂ **ქუთაისი. საზოგადო ფეხის ადგილების უქონლობა ქალაქში.** მთელს ქალაქში ორი საზოგადო ზარული გვებადა სავაჭრო მოედნებზე და ისინიც დაგვიკეტეს წელს აპრილში — ახალი უნდა ავაშენოთო. მედუქნეებმა, რომელთათვისაც აუცილებელი საჭიროებაა საზოგადო ფეხის ადგილები რადგან ყველას არა აქვს თავისი საკუთარი, სადაც ჯერ არს თავ-თავისი ხვედრი ფული

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიტანეს ახალის ფეხის ადგილების ასაშენებლად, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ველარ ველირსენით ახლებს და ამის გამო თითქმის ყველა მედუქნეები და დაბა-სოფლებიდამ სანოვაგისა და ხილის გასასყიდად ჩამოსულები დიდს გაჭირვებაში ვართ. ვგონებ, ურიგო არ იქნებოდა, რომ ქალაქის გამგეობამ ახალის ზარულის აშენებამდე (თუკი ველირსებით ოდესმე) ძველებს მაინც ახსნას კლიტებოქლომი და მით გამოგვიხსნას ამ გაჭირვებისაგან.

გ, წ—კია-

*** **ბათომის ქართველ მუშათა არტელის გამო.** *) ,,ცნობის ფურცლის“ მე-241-№-ში წავიკითხე ჩემს პასუხად ბ-ნ სპირდონ ხვიჩიას წერილი შესახებ ბათომის ,,მუშათა არტელის“ მოქმედებისა. ხვიჩია სწერს, ვითომც ,,რა მიზეზია თოფურია, რომელსაც არ შეეხება ჩემი წერილი,ბასუხსრომმიწერსო“,ამაზედ ბ-ნ ხვიჩიას ვურჩევ გაშინჯოს ჩვენი წესდება და ნახოს § 64 და დარწმუნდება, რომ მე მეხებოდა მისი წერილი, რომელზედაც ჯეროვანი პასუხი მივეცი, მაგრამ, როგორც სჩანს, ბ-ნ ხვიჩიას მარტო ის მუხლი ახსოვს წესდებისა, რომელიც ავალებს ,,არტელს“ გაზეთის საშუალებით ანგარიშების გამოცხადებას, თითქოს დანარჩენი მუხლები წესდებისა საჭიროც არ იყოს. ხვიჩია ბრძანებს, ჰქონდა არტელს საქმე თუ არა მეგემეებთან და მექარხნეებთანო? საქმე დღესაც გვაქვს, მაგრამ სამზღვარ-გარეთელ გემებში მისივე აგენტები არ გვიშვებენ, რადგანაც სამუშაო თავის ქვეყნის კაცისთვის აქვს მიცემული, ხოლო რუსეთიდგან მოსული გემებისაგან თვეში ხან ორი და ხან სამი გემი ჩვენც მოგვიწევს დასაცლელ-დასატვირთავად, მაგრამ იმაში რა უნდა დარჩეს მოსაგები, რომ ხარჯები გაასწოროს! თუ წესდების გამოცვლაზედ უარი მოგვივიდა, მოქმედებას მაშინვე დავხურავთ.

ბ-ნ ხვიჩია ემდურება ბ. თომა ჩიქვაიძეს და გიორგი წერეთელს, რატომ იმათ არ გაგვაგებინეს წესდების უვარგისობაო; მეც ვკითხავ ბ. ხვიჩიას, რატომ არ გაგვაგებინეს იმათ წესდების უვარგისობა? ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ წესდება ჩვენი არტელისა არ ვარგა, დიდი ხანია, რაც ნათხოვი გვაქვს გამოცვლა, მაგრამ უმაღლეს მთავრობასთან ისე დაახლოვებული არა ვართ, რომ როცა გვინდა მაშინ განიხილონ ჩვენი თხოვნა. და თუ რამე შეუძლია ბ-ნ ხვიჩიას უმაღლესს მთავრობასთან, ვსთხოვთ, გვიშუამდგომლოს, რომ დროზედ განიხილონ ჩვენი თხოვნა. ბ. ხვიჩია ბრძანებს, რომ ვითომ ჩვენ წინაალმდეგ წესდებისა ვიქცეოდეთ და იგივე გულითად საყვარელს წესდების მუხლს აფრინდება, შესახებ გაზეთის საშუალებით ანგარიშების გამოცხადებისა. ერთს ვკითხავთ ბ. ხვიჩიას: თვითონ-კი მოიქცა და ან იქცევა ისე, როგორც წესდებას ავალებს? რატომ არ ბრძანებს, § 14 წესდებასა, რას გვავალებს? აი რასა: პირველი უნდა ღებულობდეს მუშაობაში მონაწილეობას და მეორე სათადარიგო თანხა უნდა შამოიტანოს 50 მანათი. ხვიჩიას-კი სულ შამოტანილი 49 მანეთი აქვს, აკლია სათადარიგო თანხას ერთი მანათი, განა ეს ზემოხსენებული წესდება წინაალმდეგი არ არის? მართალია, მუშაობით ამ დროებით უმეტესი ნაწილი მეარტელეებისა არ მუშაობენ, რადგანაც სამუშაოს არ გვაძლევენ ნებით, ძალით და ჩხუბით ჩვენ არ გვიწერია წესდებაში და ისე თვით წესდებას არა აქვს უპირატესობა სხვა მუშათა არტელების წინაშე, რომელიც სცლიან დატვირთავენ საზღვარ-გარეთიდგან მოსულს გემებს და ამის გამო ვართ გულ-ხელ დაკრებილნი. ბ-ნ ხვიჩიას არავისთვის შეუკითხავს და 1892 წლის დამდეგში უშველა თავს და პირად სასარგებლო საქმეს მიაშურა; რატომ ჩვენთან არ მოიცადა? მხოლოდ 11 სექტემბერს, 1894 წ. მოვახდინეთ წევრთა ყრილობა და მაშინ დაადგინა საზოგადოებამ: რადგანაც არტელში პურის ფულს ვერ ვასწორებდით, ვისაც რის შეძლება გვქონდა უნდა გვეძებნა კერძო საქმეები და პირობაც დავდევით, როცა მოგვითხოვს სტაროსტა სამუშაოდ, დაუყოვნებლივ ყველამ ჩვენჩვენი ალაგი დავიჭიროთო; ამის გამო ვერც ერთი ბათომს ვერ მოვშორებულვართ, რომ უფრო კარგი პირადი სასარგებლო საქმესთვის მოგვეკიდა ხელი, რადგანაც არ ვიცით რა დროს მოგვითხოვს საქმე!.. შესახებ მეძმარიაშვილისა მოვახსენებ ბ-ნ ხვიჩიას, მას არაფერი გაჰყოლია არტელისა და არც არავის ჩაუტალახებია არტელის ათასი მანათი. თუ მეძმარიაშვილმა სხვისი რამე ჩაატალახა, რა დაჰკარგა მით არტელმა? ბ. ხვიჩია ბრძანებს, რომ თოფურია ტყუილად გვიხვევს თვალებს, ცარიელ ჯამში ხელს არავინ ჩაკრავსო. მე რომ ჯამაგირი არ მეძლევა, ხვიჩიამაც კარგად იცის, მაშასადამე, ხვიჩიას აზრით, მე უნდა ვსარგებლობდე ყალბი მოქმედებით; რადგანაც მეცა და ბ. ხვიჩიასაც კარგად გვიცნობენ ამ ბათომში, ამისთვის მკითხველებისათვის მიმინდვია გასარჩევათ. შესახებ კვირა დღის მუშაობისა მოგახსენებთ, რომ ჩემთვის არაფერი მნიშვნელობა არა აქვს ქარხნების დაკეტილობას, რადგანაც მექარხნე მე გვერდში არ მიჯდება და არ მასწავლის დავთარში ჩაწერას. მე როცა მივალ, მაშინ ვიმუშავებ. ვის აქვს ნება დამიშალოს? ან და რა გვაქვს იმდენი საწერი, რომ კვირაობით ვერ ვასრულებდე, მით უფრო, რომ, რაც ჩასაწერებია დავთარში, ყველაფერი ნამუშავარი სწერია, ჩვენს ოფიციალურ კვიტანციის დავთარში თვით მექარხნეები სწერავენ შიგა ამ ნაირათ. გემმა ,,სურახანმა“ მოიტანა 15000 ფუთი ტვირთი, თითოეულ ათასს ფუთში ხუთ-ხუთი მანეთი, სულ 75 მანათი მიიღო სრულად არტელის სტაროსტამო და ხელს აწერს მექარხნე. აი ეს ანგარიში გადამაქვს დიდს დავთარში. მითხრას ერთი ბ. ხვიჩიამ, რას დამიშლის მე კვირაობით ქარხნების დაკეტვა. ხვიჩია ბრძანებს, როგორ დავუჯეროთ თოფურიას, რომ მე მანეთი არ მომეხერხებინოსო, მე იმას არ ვამბობ და არც მითქვამს, რომ ბ. ხვიჩიას არ ჰქონდეს მოხერხება. თუ-კი საწევრო ფულს არ შემოიტანს, ბევრიც რომ ჰქონდეს შეძლება, ჩვენთვის ამაოა..- აი, როგორ დარჩა ბ-ნ ხვიჩიაზე ვალად საწევრო ფულები. უნდა შემოეტანა საწევრო ფული—116 მანათი, შამოიტანა ნაწილ-ნაწილად 99 მან. აკლდა მოსრულებამდე 17 მანათი; შამოტანილი ფულიდგან ისესხა არტელისაგან, 50 მან. სესხი 50 მანათი და შამოუტანელი 17 მანათი შეადგენს 67 მანეთს, გამოვაკლოთ საწევრო 116 მანათს 67 მანათი. მივიღებთ 49 მანეთს, ესე იგი სათადარიგო თანხას აკლია 1 მანათი ბ. ხვიჩია მეკითხება: სად არის და რომელ დავთრებში გიწერიათ ჩემი მუშების ნამუშავარი, როდესაც როტშილდის ქარხანაში ვმუშაობდითო; ხვიჩიას საკუთარი საქმე არ ჰქონია როტშილდის ქარხანაში, რომ რამე მუშაობას მისი სახელი დარქმეოდა, მუშაობდა მხოლოდ არტელი, და სახელიც მისი იყო, თუ იმას იფიქრებს, რომ აქ ჩვენ ფულები მოვიგეთ, თვით დავარიგეთ და მას არ მივეცით, ამაში შემცდარი იქნება. იმ დალოცვილს, თუ 8 წლის ანგარიშები დაუწერავათ ეგულებოდა, დღემდის რა მიზეზი იყო, რომ ფარავდა. ყველა დასაბუთებული ანგარიშები კანტორაში ინახება: 25 კაცს ჩემთვის არ უთხოვია ანგარიშების დაბეჭდვა გაზეთში, რომ მე მათი სიტყვა ბანზედ მესროლა და არც თქვენთვის მიუნდვიათ. ვისთვის დავბეჭდოთ ანგარიშები გაზეთში? მარტო ხვიჩიასათვის? თუ 25 კაცი მოისურვებს, იმ შემთხვევაში ბატონი ბრძანდებით. დასასრულ ყოვლისა კიდე ვთხოვთ ბ-ნ ხვიჩიას მობრძანდეს და ანგარიში ნახოს და ტყვილა ქორების წერას თავი დაანებოთ. ამას იქით მე არ მივიღებ, რაც უნდა დასწერონ. ა ბურთი და ა მოედანიო, აჰა, ანგარიშები,ძველი დ ახალი დავთრები და ყველა ნაწარმოები თვისის საბუთებით.

წევრი ბათომის არტელისა თეიმურაზ თოფურია.

*** **ოზურგეთი. სადგ. ნატანები და რკინის გზა.** ოზურგეთიდგან, ბათუმიდგან, ფოთიდგან, ქუთაისიდგან და სხვა მრავალი ადგილებიდგან აუარებელი მგზავრები დაიარებიან სად. ნატანებში, მაგრამ ერთი გარემოება მეტად აფერხებს მოგზაურობის სიადვილეს: ნატანებში მატარებელი ჩერდება მხოლოდ სამ წუთს, რის გამოც მეტად შევიწროებულნი არიან მგზავრნი. მივაქცევ ყურადღებას ადგილობრივ მმართველობის წარმომადგენელებისას ამ გარემოებაზედ, თანხმად გზათა მინისტრის ბძანებისა, რომ ყოველი გარემოება რკინის გზებისა მას მოხსენდეს მაზრის წინამძღოლის, მაზრის უფროსის და ქალაქის თავისაგან, — რომლებიც ვალდებულნი არიან ზემო აღნიშნული გარემოება სტატისტიკური ცნობებით მოახსენონ გზათა მინისტრის, ან რკინის გზის მმართველობას, რომლებიც, იმედია, მიაქცევენ ყურადღებას და ნატანებში მატარებელს 6—10 წუთამდე მაინც გააჩერებენ, რაც თითქმის აუცილებელი საჭიროებაა მოგზაურებისთვის.

ალექსანდრე თოიძე.

*** **ფოთი. დედათა ახალი მონასტერი.** შავი ზღვის ნაპირას ახალი დედათა მონასტერი შენდება, რომელსაც სახელად ერქმევა „ივერიის ღვთის მშობლის მონასტერი“. ამ მონასტერს აშენებს თავის ხარჯით დაჲ ალათი, რომელიც თვრამეტი წელიწადი რუსეთში იყო მონაზვნად. როგორც თითონ ამბობს და წერილებიდამაც სჩანს, მამა იოვანე კრონშტატელთან ერთად უმსახურნია. იოვანე კრონშტატელს მრავალი მშვენიერი ნივთები უჩუქებია საყდრისათვის. ნივთები მართლაც საუცხოვო რამ არის, და არა ნაკლებ ექვსასი თუმნისა იქმნება.

წარსულ თიბათვეს გურია-სამეგრელოის ეპისკოპოზმა აკურთხა სამონასტრო ალაგი, სადაც საყდარი უკვე შენდება. ივანე კრონშტატელს წერილიც მოუწერია ფოთში ერთ წარჩინებულ პირთან, რომელსაც სთხოვს ალათის აჩუქე ის ალაგი, რომელიც იმის ახლად დაწყობილ მონასტრის ახლოს გაქვსო, ეს კი არ ვიცით აჩუქებს ალაგს თუ არა; როგორც მახლობელმა სანდო პირმა მითხრა და თვითონ ალათი მონაზონმაც, ალაგის ჩუქების უარი მიუწერია მამა კრონშტატელისათვის იმ ქალს, რომელსაც ზემოდხსენებული წერილი მოსვლია. ოთხს ოთახში უკვე სცხოვრობენ, რომელიც აგერ ერთ წელიწადზედ მეტია, რაც გააკეთა თვით ალათიმ, ეხლა ათი თუ თორმეტი მონაზონი არის შიგა.

ალათი მშვენივრად ლაპარაკობს რუსულ ენაზე, მხოლოდ, სამწუხაროდ,ქართული წერა-კითხვა არ იცის; თითონ მეგრელის ქალია—თათარიას ასული. მე თითონ მითხრა ალათიმ, როცა ეკკლესიას გავათავებ, ქართულს წერა-კითხვასაც ვისწავლიო. ალათი იქნება ორმოცდა ხუთის წლისა და არა მეტისა, ძალიან ლამაზიც იქნებოდა თავის დროზედ, როგორც ეტყობა. დაჲ ალათის იმედი აქვს, რომ კიდევ დიდს შემწეობას მისცემს მამა იოვანე კრონშტატელი. შემოდგომაზედაც აპირებს კიდევ წასვლას რუსეთში მამა კრონშტატელის სანახავად, რათა შემწეობა აღმოუჩინოს კიდევ ამის დაწყობილს საქმეს. ჩვენი პატივცემული ნ. ნიკოლაძე დიდათ მოხარულია ამ შემთხვევისა, როგორც მე თითონ პირადად იმისგან გავიგე. ყველას იმედი აქვთ, რომ, როგორც საყოველთაო მოწყალე, მამა იოვანე კრონშტატელი თავის წყალობას არ მოაკლებს ჩვენს მხარესაც, როგორც თვით იმის სურვილი და წერილიდამ სჩანს-

ნატო.

*** **ქართლი. კიდევ ავაზაკობაზედ.** გორის მაზრა ისეთი დიდი და ვრცელია, რომ არც ერთი მაზრა არ შეედრება, როგორც ხალხის სიმრავლით, ისევე მდებარეობით; რაც შეეხება მოსავალს, ზოგი სოფელი ისე დაუსეტყვია და გაუფუჭებია, რომ მცხოვრებელნი დიდს შევიწროებაში და ფიქრში არიან, თუ როგორ უნდა გამოჰკვებონ ცოლ-შვილი მომავალში; ამ ჯავრს დამატებიათ კიდევ შემდეგი: გორის მაზრაში გავარდნილან ხუთი ავაზაკნი, და დანავარდობენ, როგორც სურთ; ისეთი შიშის ზარი აქვთ მცხოვრებლებს დაცემული, რომ გაჰკვირდებით; რომელ სოფელსაც-კი მიუახლოვდებიან, ჰკითხავენ მწყემსებს, ვის როგორი შეძლება აქვთო; რასაკვირველია, შიშით სუყველა გაგონილს უამბობენ; შემდეგ სწერენ წერილს, რომ ამდენი ფული და კარგი ვახშამი გამოგვიგზავნე, თორემ წუთი-სოფელს გამოგასალმებთო. ძალა-უნებრივ უსრულებენ ზოგ-ზოგი. მთელს სოფლებში ვერ იპოვნით რამდენსამე თოფს— თუ იპოვით იმასაც დაჟანგიანებულს; ასე რომ მუგუზალი რომ დაადოთ, მაშინაც ძლივს გავარდება, არამც თუ როცა პატრონები მოინდომებენ, და ისინი-კი სუყველაფრით მოწყობილები არიან საომრად. შემთხვევით შევიარე სოფელ ძევერაში, სადაც პირველსავე მისვლაზედ მიამბეს თავიანთი შეშინება გავარდნილების შესახებ. სხვათა შორის, ისიც-კი დაუმატეს, რომ ავაზაკების სახელით, ბევრნი სარგებლობენო და უარესობას ჩადიანო. ნუ თუ, ვკითხე, თქვენში ყარაულები არ არის მეთქი დაყენებული? თუმცა მამასახლისის განკარგულებით არიანო, მაგრამ ვინაა შემმოწმებელი—არიან, ან დადიან თუ არა; თუნდაც რომ იყვნენ, რა შედეგი უნდა მოიტანონ: თოფი იმათ არა აქვთ და დანა, რითი უნდა დაიფარონ ან თავიანთი თავი, ან ხალხიო. ურიგო არ იქნება, რომ ყურადღება მიაქციონ ვისიც ჯერ არს ან მათს დაჭერას ან ყარაულებს დაურიგონ თოფები, რითაც შეეძლოთ თავიანთი თავის დაცვა.

მგზავრი.

*** **ს. არბო** (ქართლი). **შემოსავალი სცენისმოყვარეთა წარმოდგენიდან,** რომელიც გამართულ იყო 19 მკათათვეს მრავალ ხალხთა დასწრებით (გლეხ-კაცობა უფასოდ იყო წარმოდგენაზე), იყო 54 მ., აქედან დახარჯულა 13 მ., წმინდა შემოსავალი 41 მან. ბ-ნ ნ. ლ—რს კასას მიაბარეს შესანახად, მომავალ სკოლის სასარგებლოდ.

*** **ს. საჩიჯაო** (სამეგრელო). **ადგილ მდებარეობა.** ს. საჩიჯაო მდებარეობს შუაგულ სამეგრელოში ზუგდიდიდგან 25 ვერსის სიშორეზე და ახალ-სენაკიდან—18-ს, მდინარე ხობისწყლის ორთავე ნაპირზე. საჩიჯაოს, ანუ საჩიჩუოს (თთ. ჩიჩუების მამულია) უწოდებენ ხუთს სოფელს ზენს, ზუბს, ჯაპი-შაქარს, მაცხოვრისკარს, და თვით საჩიჯაოს, რომელნიც შეადგენენ ერთს საზოგადოებას. მდინარე ხობიწყლის მარჯვნივ, ჩრდილოეთის მხარეზე სძევს პირველი სამი სოფელი, მარცხნივ სამხრეთისაზე კი—ორი უკანასკნელი. საჩიჯაო ბუნებით ძალიან მდიდარია და ყოვლად შემკულია: აქაური ხშირი და ატეხილი ტყე, ამწვანებული მონდვრები და მობიბინე ყანები მეტად ასიამოვნებს ადამიანის თვალს. მიწის დასვენება აქ არ იციან, მაგრამ სიმინდი, ღომი და ფეტვი უხვათ მოდის. ჰაერი კარგი და მოსახდენია, ციებ-ცხელებით ავადმყოფობა იშვიათია. ყინულივით ცივი წყაროები ბევრი გამოდის .ერთი სიტყვით, ჰაერით და მიწის სინოყივრით პირველი ადგილი უჭირავს მთელ ზუგდიდის მაზრაში.

—**გლეხ-კაცების სიღარიბე.** მიუხედავად ეგეთი მდიდარი ბუნებისა, აქაური გლეხობა ძალიან ღარიბია. ამის უმთავრესი მიზეზი უმი-

---

*) ბათომის არტელის საქმე ამ წერილების შემდეგ ჩვენ საკმაოდ გამორკვეული მიგვაჩნია. აშკარაა, რომ ამ საკეთილო საქმეში პირადობას უკვე თავი უჩენია და ჩვეულებრივის შხამით მოუწამლავს საქმე. ამაში უფრო გვარწმუნებს ბ-ნი გ. წერეთლის წერილი ამავე არტელზე, დაბეჭდილი „კვალის“ მე-30—№-ში. რედაქ.

წობაა; გლეხობას თავისი საკუთარი სახნავ-სათესი ადგილი საყოფი არა აქვს; თითქმის მთელი სოფლის კარგი მამულები თავად-აზნაურობას ეკუთვნის, გლეხობა კი სანახევროდ მუშაობს მებატონის ადგილზე, მაგრამ ბევრჯელ წყალ-დიდობა სანახევრო ქირნახულზედაც ხელს აალებინებს და უსაზრდოოთ სტოვებს. აი აგერ ორი წელიწადია, რაც აქაურს გლეხობას ფოსტის ფული ველარ გადაუხდია. თუ შეღავათი აღარ აღმოჩნდა, როგორც მთელი ზუგდიდის მაზრის გლეხობა მოელის, მისი მდგომარეობა განსაცდელშია.

—აბრეშუმეობა და ჩარჩები. სიმინდის ფასი ხომ დაიკარგა, ფუთი ერთი აბაზია, თუმცა გასაყიდი აქ მეოცედს არა აქვს და სხვა დარგის მეურნეობა აქ არ იციან. მართალია, როგორც ყველგან სამეგრელოში, აქაც აბრეშუმის მოყვანა გავრცელდა, მაგრამ, რადგანც მისი მწარმოებელნი მხოლოდ არის მცოდნე დედა-კაცებია, ხოლო მყიდველნი—გაიძვერა ჩარჩ-ბერძნები, ამიტომ მარტო ზოგიერთი ოჯახობა სარგებლობს ამ ხელობისაგან ცოტა რამეს. თუ ვისმე ორი გროშის მოხერხება შეუძლია, ისიც პარკის ფასით.

—ქურდობა. ქურდობაც ძალიან ხელს უწყობს სიღარიბის გავრცელებას. ქურდ—ბაცაცების „ხრიკებმა და დალალობამ“ ლამის სული ამოაძრო აქაურებს. იგინი აქ სწორედ ისე იქცევიან, როგორც მახლობელ ს. ზანაში. (იხ. „ცნობის ფურცლის“ 259 №-ში.) მაგრამ ახალ-მაზრის უფროსის წყალობით ჯერ-ჯერობით, ერთი თვეა, თითქმის არაფერი დაკარგულა. დროა ხალხმა გაიღვიძოს და ეგ ცუდი ჩვეულება გადააგდოს....

ისიდორე შიოსძე.

⁂ **ბათომი. ადგილობრივი გიმნაზია.** ბათომის გიმნაზიაში გაიმართება პანსიონიც მაშინ, როდესაც გიმნაზიას დროებითი სადგომიდამ საკუთარს სახლებში გადაიტანენ.

ამ დღეებში ბათომში ჩამოსულა ბათომის გიმნაზიის დირექტორი ა. ი. სტოიანოვი და მოლაპარაკება ჰქონია ქალაქის მოურავთან გიმნაზიის სამუდამო სახლის აშენებისა და საკლასო სამკაულის შეკვეთის შესახებ.

* * *

პოლიციის მატიანე

სახლის გაქურდვა. 30 ივლისს, პოლიციის მე-4—ნაწილში მცხოვრებელმა ატიშჩევის ქუჩაზედ გენ. ქიშმიშევის სახლში სოლომონ წურინოვმა გამოუცხადა, რომ ჩემმა მოსამსახურემ კარაპეტ ბაბაიანმა (იგივე ბაღდასარიანცი) გამქურდა და წაიღო ბრილიანტის და ოქრო-ვერცხლის ნივთები, სულ ღირებული ასი თუმნისაო. პოლიციამ მიიღო შესაფერი ღონისძიება დამნაშავის დასაჭერათ.

დაჭრა. **30 ივლისს, მიხეილის** ქუჩაზედ ვილაც ზაზიევმა მძიმედ დასჭრა დურგალი ცხვარაძე. მიზეზი ასეთი საქციელისა ის ყოფილა, რომ ცხვარაძეს შეუკვეთნია ზაზიევისთვის სახელოსნოს წარწერის („ვი[illegible]კის“) დახატვა, მაგრამ ზაზიევს სამუშაო დროზედ არ შეუსრულებია. ამაზე წინათვე მოსვლიათ ჩხუბი, რის შემდეგაც ცხვარაძეს აღარ მიქონდა შენაკვეთი და, რასაკვირველია, ფულსაც არ იხდიდა, ზაზიევი თხოულობდა ფულს, ამაზე მოუვიდათ ჩხუბი. ცხვარაძე მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, ზაზიევი პოლიციამ შეიპყრო.

* * *

სასამართლოს მატიანე.

დავა შვილსა და მამას-შუა. 30 ივლისს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ განიხილა შემდეგი ახირებული საჩივარი.

გიორგი თაიროვი უჩივის თავის მამას ხრისტეფორე თაიროვს,—ჩემდამი კუთვნილი ტყე მამა ჩემმა იჯარით მისცა ს. სერებრიაკოვს, რომელიც აზიანებს ტყეს და მეტს ზარალს მაძლევს, ვინემ მოგებასო. აი ამ საქმის გარემოება: ტყე, რომელზედაც დავა ატეხილა, წილად ხვდა ანდერძით მომჩივანს პაპა მისის—ალექსანდრე თაიროვისაგან; რადგან იმ დროს გ. თაიროვი მცირე წლოვანი ყოფილა, მისს მზრუნველად და მამულის მმართველად დაუნიშნავთ მისივე მამა—ხრისტეფორე; ამ უკანასკნელს ტყე იჯარით გაუცია მუხის ფიცრების მოსაჭრელად. ეხლა მომჩივანი სრული-წლოვანია და, რადგან თავისთვის საზარალოდ სცნობს ხსენებულს იჯარას, თხოულობს გაუქმებულ იქმნას საიჯარო პირობა, რომელიც მამა მისს მიუცია, როგორც მზრუნველს, ბ. სერებრიაკოვისათვის და ამასთანავე მიეცეს მასვე უფლება ზარალი მოსთხოვოს ბ. სერებრიაკოვს.

მოპასუხე არ დასწრებია ამ დღეს სასამართლოში, ხოლო 25 ივნისს, როდესაც ეს საქმე პირველად ირჩეოდა შემდეგი ჩვენება მიუცია: მე გავეცი ეს ტყე იჯარით, როგორც მამულის მმართველმა და თუმცა, მართალია, იგი ჩემს შვილს ეკუთვნის, მაგრამ ყოველთვის ფაქტიურად მე ვფლობდი და ეხლაც ჩემს მფლობელობაში არისო.

სასამართლომ შემდეგი განჩინება დასდო: დაევალოს მოპასუხეებს ხრისტეფორე თაიროვსა და ს. სერებრიაკოვს, რომ მათ ერთის თვის ვადით წარმოადგინონ ტყის საიჯარო პირობა, ხოლო მომჩივანს გ. თაიროვს მიეცეს უფლება შვიდის დღის განმავლობაში დანიშნოს მოწმეები რომელთაც შეეძლებათ დამტკიცება იმისა, რომ აღნიშნულს ტყეში ბ. სერებრიაკოვი მართლა სჭრიდა მუხის ხეებს სადავო პირობის ძალით.

* * *

სხვა და სხვა ამბები

ორლეანის პრინცი ჰენრიხი და იტალიელნი. ამას წინედ «Мир. отг.» ეწერა ფრანგულს გაზ. „Figaro“-დან ამოღებული პრინც ჰენრიხის წერილი, რომელშიაც ნაამბობია მისი აბაშეთში მგზავრობა. სხვათა შორის, ამ წერილში აღნიშნულია, თუ რა სამარცხვინო სიფრთხილე გამოიჩინა იტალიის ჯარმა აბაშეთთან ომის დროს.

წერილის შინაარსმა შეურაცხყო იტალიის ჯარი და მიტომ გარდასწყვიტეს ავტორის რხმალზე გამოწვევა; შეიქმნა ამის თაობაზე დიდი ალიაქოთი და თათბირი; ჯერ დაადგინეს, რომ იტალიის ყველა ოფიცრებმა რიგ-რიგად გამოიწვიოს პრინცი ჰენრიხი რხმალზე მაგრამ ჩასვდნენ, ეს მეტის მეტი იქმნებაო და კენჭი უყარეს; წილი ხვდა მთელს იტალიაში რხმალში ცნობილს ლეიტენანტს პინის. ეს არ აკმარეს პრინცს; ღენერალმა ალბერტონემ სამსახურს თავი დაანება, მხოლოდ იმისთვის, რომ რხმალში გამოიწვიოს პრინცი ჰენრიხი. ამ რიგად პრინცს ორი მოწინააღმდეგე ჰყავს—ალბერტონე და პინი.

გაზ. „Figaro“ იუწყება, რომ პრინც ჰენრიხს თანხმობა გამოუცხადებია ალბერტონესთან ბრძოლისა. ერთ დროს ლაპარაკობდნენ, რომ ჰენრიხი იბრძოლებს ტურინის გრაფთან, იტალიის მეფის დისწულთან რომ ორივე მოპირდაპირენი თანასწორის შთამომავლობისანი იყვნენო, მაგრამ ეს აღარ მოხერხდა და ამ ჟამად პრინცი იძულებულია თავისი რხმალი უბრალო ღენერალის რხმალს შეაბრძოლოს.

პინისთან პრინცი აღარ იბრძოლებს, რადგან კანონით ნება აქვს უარი განაცხადოს მეორედ რხმალში გასვლისა ერთისა და იმავე დანაშაულისათვის.

ბულალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანათ ჰსურს შეისწავლოს

სრული კურსი ბულალტერიისა **სამის თვის** განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბულალტერს **ი. ია. ბრონ ფონ-ბრენერს.**

ფასი მთელის ბულალტერიის საფუძვლიანათ შესწავლისა 60 მან.

КУРСЪ БУХГАЛТЕРIИ,

состоящiй изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтерiи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.

2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операцiи,)

3) **Арифметики на счетахъ,**

4) **Коммерческой экономiи,**

5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконенiй, —преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита и препод. **школы садоводства.**

ПЛАТА ЗА ВЕСЬ КУРСЪ 60 РУБ.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятiяхъ, въ теченiе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятiй—1-е числа каждаго мѣсяца. **АТТЕСТАТЫ за успѣшныя занятiя отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ Фонъ-Бренеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленiя на счетахъ, 2) монетныя вычисленiя, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операцiи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операцiи, 7) биржевыя операцiи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—56)

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

მ. ლალიძის გამოცემული

ახალი თხზულება-პოემა **აკაკისა**

ნათელა

(ძველებური ამბავი)

წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.

ფასი თითო აბაზი.

ვინც ას წიგნს ერთათ ნაღდ ფულზე იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20%. მსურველთ ფასს დადებითაც გაეგზავნებათ. (50—7)

დიდის ხნის სურვილი გამისორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნებართვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრებული“

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყ[illegible]რი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები—შიგა და [illegible]თული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გარდმოცემა, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შეშწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის **6** მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით **7** მან. წელიწადში: ნახევარ წლით-კი **4** მან.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: ,,წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში). ელენე ანტონოვსკისთან—ბიბლიოთეკაში.

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის ,,შუამავალის“ მაღაზიაში.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(40—22) ,,კრებულის“ რედაქტორი **აკაკი.**

მსწრაფლ მბეჭდავი

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა

არსებობს 1873 წლიდან.

ქ. თფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ქაშვეთის ეკკლესიის შენობაში;

სტამბა იღებს ყოველ გვარ დასაბეჭდ საქმეებს

მაგალ. გაზეთებს, წიგნებს, ბროშიურებს, აფიშებს, კანტორსკის წიგნებს, ორდერებს ფერადი კრასკით, განცხადებებს, პრეისკურანტებს, საანგარიშო წიგნებს, ადრესებს, ღვინის ეტიკეტებს სხვა და სხვა ფერ კრასკით, ქორწილის ბილეთებს, სადარბაზო ბარათებს, სასტუმრო კარტიჩკებს, კონცერტის და თეატრის პროგრამებს და სხვა და სხვას.

სტამბას აქვს შემენილი მრავალგვარი ასოები და სურათები.

წიგნების და ბროშურების შეკვრას, დახაზვას, დაჩხვლეტას, დანომვრას ასრულებს სტამბა.

აგრეთვე სტამბას ჰყავს გამოცდილი სტამბის მმართველი და კორრექტურის გამსწორებელი.

სტამბა მცირედ ფასათ იღებს ყოველ გვარ დასაბეჭდ საქმეებს.

დროზედ საქმის შესრულებას და სასუფთაოზედ პირობას იძლევა სტამბა.—მსურველთ შეუძლიან პირდაპირ მიმართონ ხელაძეს სტამბის კანტორაში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Августа 1897 г. სტამბა ექ. ი. ხელაძის, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი **ვალ. გუნია.**